



THE WORLD BANK

Working for a World
Free of Poverty

პრეს რელიზი

მსოფლიო ბანკი საუკეთესო ესეის კონკურსში გამარჯვებულებს აცხადებს

თბილისი. 2012 წლის 21 დეკემბერი. დღეს მსოფლიო ბანკმა ესეიების კონკურსის, „საქართველო კიდევ ოცი წლის შემდეგ“, გამარჯვებულები დაასახელა. აღნიშნული კონკურსი მსოფლიო ბანკის საქართველოსთან თანამშრომლობის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ნაწილის წარმოადგენს. ფულადი პრიზები საუკეთესო ხუთი ესეიების შემდეგმა ავტორებმა მიიღეს:

გიორგი ელიზბარაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქეთევან ყიფშიძე - კავკასიის უნივერსიტეტი
ვალერი ოთხოზორია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარიამ სულაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა თხელიძე - საქართველოს უნივერსიტეტი

სპეციალური ნომინაციებში გამარჯვებს:

ედიმერ ბალათურას - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - შემოქმედებითი
ნამუშევრისთვის
სოფო დათუაშვილს - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ორიგინალური
ნამუშევრისთვის
ნინო კაპანაძეს - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია - მხატვრული
ნამუშევრისთვის
რობინზონ ხუბულაშვილს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ინოვაციური ნამუშევრისთვის
ნინო რეხვიაშვილს - კავკასიის უნივერსიტეტი - საინტერესოდ წარმოდგენილი
ნამუშევრისთვის

თორნიკე ადამაშვილს - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი - სპეციალური პრიზი ოსტატურად დაწერილი ნაშრომისათვის.

*„ესეიების კონკურსი იყო საინტერესო შესაძლებლობა, სტუდენტებს ემსჯელათ
საქართველოს განვითარების პერსპექტივებზე. კონკურსი მიზნად ისახავდა სტუდენტების*

წახალისებას, რათა გაეზიარებინათ თავიანთი ხედვა ქვეყნის მომავლის შესახებ და ამ ხედვისკენ მიმავალი გზა. მოხარული ვართ, რომ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა რამოდენიმე ნამდვილად საინტერესო ნამუშევარი წარმოდგინეს,“ - განაცხადა მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისის სახელმწიფო სექტორის მართვის უფროსმა სპეციალისტმა, შემრჩევი კომისიის თავმჯდომარემ, ელენე იმნაძემ.

კონკურსში მონაწილე უნივერსიტეტებმა მათი სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ესეების თავდაპირველი შერჩევა თავად მოახდინეს. უნივერსიტეტები შეეცადნენ, მოეცვათ დისციპლინების ფართო სპექტრი წარმოდგენილ ნამუშევრებში. წარმოდგენილი ესეები მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით იქნა შეფასებული. ესეების საბოლოო შეფასება მსოფლიო ბანკის შესარჩევი კომისიის მიერ მოხდა. აღნიშნული კომისია ბანკის თანამშრომლებისა, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს და ჟურნალ „ტაბულას“ წარმომადგენლებისგან შედგებოდა.

გამარჯვებული ნამუშევრების ავტორები და შესაბამისი უნივერსიტეტების წარმომადგენლები მიწვეული იქნებიან მსოფლიო ბანკის მიღებაზე, რომელიც 21 იანვარს გაიმართება. აღნიშნულ მიღებაზე მოხდება გამარჯვებულთა დაჯილდოვება. ნამუშევრები მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ: www.worldbank.org.ge

საკონტაქტო პირი:

ინგა პაიჭაძე

ტელ: (99532) 291-3096, ipaichadze@worldbank.org